

ბიზნეს სუბიექტების მიერ 2020 წელს წარდგენილი მმართველობის ანგარიშგებების კვლევა




თბილისი მარიოტი

ოთხშაბათი, 29 ივნისი, 2022

PMO
Business Consulting

Integrated ESG
Driving Sustainable Investment

 **IFC** International
Finance Corporation
WORLD BANK GROUP
Creating Markets, Creating Opportunities

 Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Confederation

Federal Department of Economic Affairs,
Education and Research EAER
State Secretariat for Economic Affairs SECO



პროექტი სახელწოდებით „გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები საქართველოში“ ხორციელდება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) პარტნიორობითა და შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო SECO-ს მხარდაჭერით.

პროექტის მიზნები:

- ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების და ვორქშოპების გამოყენებით
- გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე კვლევების ჩატარება
- გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე ბიზნეს სუბიექტების საკონსულტაციო მხარდაჭერა
- გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობითი საკითხების ხელშესაწყობად შესაძლო რეგულაციებისა და წამახალისებელი პოლიტიკის შექმნის პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PMO-მ 2022 წლის თებერვალი-მაისის პერიოდში ჩაატარა ბიზნეს სუბიექტების მიერ 2020 წელს წარდგენილი მმართველობის ანგარიშგებების კვლევა.



- ბიზნეს სუბიექტების მიერ წარდგენილი მმართველობის ანგარიშგების კვლევის მიზანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონთან შესაბამისობის გამოვლენა და მათი ხარისხობრივი შეფასება მმართველობის ანგარიშგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და ასევე საერთაშორისო პრაქტიკების მიხედვით.
- კვლევის შედეგები დაეხმარება ბიზნეს სუბიექტებს დაინახონ გამოვლენილი ტენდენციები და ნაკლოვანებები რათა სამომავლოდ მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში მოახდინონ შესაბამისი გაუმჯობესება.
- კვლევის შედეგები დაეხმარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს გამოავლინოს საჭიროებები კანონმდებლობის გაუმჯობესების, დამატებითი ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შემუშავების კუთხით.

- კვლევის ფარგლებში შეფასდა 2020 წლის საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება.
- კვლევის განხორციელებაში შეფასების კრიტერიუმები დაეფუძნა ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ 2018 წელს შემუშავებული მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს.
- ანალიზი ჩატარდა სამი სახის მმართველობის ანგარიშგებაში ბიზნეს სუბიექტების კატეგორიების მიხედვით:

ანგარიშგების სახეობა	სღპ	I კატ	II კატ	სფქ ემიტ.	> 500 დას.
საქმიანობის მიმოხილვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		
კორპორაციული მართვის ანგარიშგება				<input checked="" type="checkbox"/>	
არაფინანსური ანგარიშგება	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>			<input checked="" type="checkbox"/>



საქმიანობის მიმოხილვა

- სდპ
- სდპ (ზომით პირველი კატეგორიის საწარმო, 500 ზე მეტი დასაქმებულით)
- საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები (ასევე არიან სდპ-ები)
- I კატეგორიის საწარმო (ან ჯგუფი)
- II კატეგორიის საწარმო (ან ჯგუფი)

ამგვარი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ შეადგინა 973, საიდანაც შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და შემოწმდა კვლევითი ამოცანების გადასაწყვეტად სტატისტიკურად ვალიდური რაოდენობა - 272 ბიზნეს სუბიექტი (95% იანი CL-ით/5% MoE-ით)

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

- საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები (რომლებიც ასევე არიან სდპ-ები)

ამგვარი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ შეადგინა 16. შემოწმდა ყველა ასეთი ბიზნეს სუბიექტის მმართველობის ანგარიში.

არაფინანსური ანგარიშგება

- სდპ (ზომით პირველი კატეგორიის საწარმო, 500 ზე მეტი დასაქმებულით)

ყველა სდპ, რომელიც არის პირველი კატეგორიის საწარმო, 500 ზე მეტი დასაქმებულით. ამგვარი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ შეადგინა 21. შემოწმდა ყველა ასეთი ბიზნეს სუბიექტის მმართველობის ანგარიში.



ზოგადი შეფასების კრიტერიუმი

- არის თუ არა ანგარიშში ყველა სავალდებულო კომპონენტი ასახული
- აღნიშნული ეხება სამივე სახის ანგარიშგებას ერთნაირად

სავალდებულო და სარეკომენდაციო კომპონენტების შეფასების კრიტერიუმი

- ანგარიშში გადმოცემული ინფორმაცია რა ხარისხით ფარავს ყველა სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათის საკითხს

გამონაკლისები

- კვლევაში არ არის შეყვანილი კომერციული ბანკები, მმართველობის ანგარიშგების წარმოების უფრო ხანგრძლივი გამოცდილების და პრაქტიკის ქონის გამო



საქმიანობის მიმოხილვა - კრიტერიუმები

შესაფასებელი კომპონენტების წონა განისაზღვრა ინდივიდუალურად, თითოეული კომპონენტის მნიშვნელობის და სპეციფიკის გათვალისწინებით

No.	კომპონენტები	მინ./მაქს.	ქულა
საქმიანობის მიმოხილვა			
1	საწარმოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია, საწარმოს განვითარების, შედეგების და მდგომარეობის ანალიზი (განვითარების ისტორია)	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3 = კარგი
2	სუბიექტის განვითარების გეგმები	0-დან 2-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1 = საშუალო, 2 = კარგი
3	ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	1-დან 2-მდე	1 = საშუალო, 2 = კარგი
4	სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3 = კარგი
5	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები და ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი., 2= საშუალო, 3 = კარგი
6	საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	0-დან 2-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1 = საშუალო, 2 = კარგი
7	რისკების და გაურკვევლობების ანალიზი - აქ უნდა გასაჯაროვდეს სუბიექტის სტრატეგიული, კომერციული, ოპერაციული და ფინანსური რისკების აღწერა და ამ რისკების შესაძლო ეფექტების აღწერა	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი., 2= საშუალო, 3 = კარგი
8	მთლიანი მაქსიმალური ქულა	18	



საქმიანობის მიმოხილვა - კრიტერიუმები (მაგალითი)

1. საწარმოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია, საწარმოს განვითარების, შედეგების და მდგომარეობის ანალიზი (განვითარების ისტორია)	ქულა
<p>1) სუბიექტის საქმიანობის აღწერა წარმოდგენილია, იმგვარად რომ ანგარიშგებებით დაინტერესებულ პირს შეუძლია სუბიექტის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღება და იმ გარემოებების სათანადოდ შეფასება, რომელთა პირობებშიც სუბიექტი მოქმედებს.</p> <p>2) დაფარულია ძირითადი ტენდენციები და ფაქტორები, რომელთაც სუბიექტის საქმიანობის განვითარებაზე, შედეგებზე ან მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.</p> <p>3) წარმოდგენილია განვითარების შედეგები იმგვარად, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა წინა პერიოდთან შედარება.</p>	3
აკმაყოფილებს რომელიმე ორ კრიტერიუმს	2
აკმაყოფილებს რომელიმე ერთ კრიტერიუმს	1
არ აკმაყოფილებს არც ერთ კრიტერიუმს	0
2. სუბიექტის განვითარების გეგმები	ქულა
<p>1) წარმოდგენილია ინფორმაცია მოსალოდნელი განვითარების შესახებ იმგვარად, რომ ანგარიშგებებით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ გაეცნონ სუბიექტის სამოქმედო პრიორიტეტებსა და რესურსებს, რომლებსაც სუბიექტი შედეგის მისაღებად იყენებს.</p> <p>2) მოიცავს ტენდენციებისა და ფაქტორების დეტალურ ანალიზს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს სუბიექტის საქმიანობაზე, განვითარებაზე ან მდგომარეობაზე.</p>	2
აკმაყოფილებს რომელიმე ერთ კრიტერიუმს	1
არ აკმაყოფილებს არც ერთ კრიტერიუმს	0



კორპორაციული მართვა - კრიტერიუმები

კორპორაციული მართვა		
კორპორაციული მართვის კოდექსი/ კორპორაციული მართვის კოდექსიდან 1 გადახვევები	0-დან 4-მდე	0= არადაამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3= კარგი, 4 = საუკეთესო
ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლი და რისკების 2 მართვის სისტემა	0-დან 2-მდე	0= არადაამაკმაყოფილებელი, 1 = საშუალო, 2 = კარგი
აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებები და მათი განხორციელების წესების 3 მიმოხილვა	0-დან 2-მდე	0= არადაამაკმაყოფილებელი, 1 = საშუალო, 2 = კარგი
მმართველობით ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების 4 მიმოხილვა	0-დან 2-მდე	0= არადაამაკმაყოფილებელი, 1 = საშუალო, 2 = კარგი
მმართველობით ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული 5 დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა	0-დან 2-მდე	0= არადაამაკმაყოფილებელი, 2 = კარგი
სავალდებულო სატენდერო შეთვაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის 6 მიმოხილვა	0-დან 2-მდე	0= არადაამაკმაყოფილებელი, 1 = საშუალო, 2 = კარგი
7 მთლიანი მაქსიმალური ქულა	14	

არაფინანსური ანგარიშგება

1	არაფინანსური საკითხები - გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საკითხები	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3 = კარგი
2	სუბიექტის ბიზნეს მოდელის აღწერა	0-დან 4-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3= კარგი, 4 = საუკეთესო
3	სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზი (ბიზნესსურთიერთობები, რისკების მართვის მეთოდები)	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3 = კარგი
4	ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები (მათ შორის, ეკოლოგია, სოციალური პასუხისმგებლობა და სხვ.)	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3 = კარგი
5	გამოყენებული პოლიტიკები	0-დან 3-მდე	0= არაღამაკმაყოფილებელი, 1=დაბალი, 2= საშუალო, 3 = კარგი
6	მთლიანი მაქსიმალური ქულა	16	



1


საქმიანობის მიმოხილვა






საქმიანობის მიმოხილვა - შეფასება

2020-სთვის წარსადგენი 973 წლიური ფინანსური ან/და მმართველობის ანგარიში ბიზნეს სუბიექტების კატეგორიების მიხედვით




კვლევითი ამოცანების გადასაწყვეტად სტატისტიკურად ვალიდური 272 წლიური ფინანსური ან/და მმართველობის ანგარიში ბიზნეს სუბიექტების კატეგორიების მიხედვით





საქმიანობის მიმოხილვა - შეფასება


- შეფასებული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშებიდან **237** აკმაყოფილებს 50%-იან ზღვარს (შეფასების ქულა > 50%)
- შეფასებული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშებიდან **35** არ აკმაყოფილებს 50%-იან ზღვარს (შეფასების ქულა < 50%)





საქმიანობის მიმოხილვა - შეფასება


საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშებიდან I, II და სდპ კატეგორიის ბიზნეს სუბიექტების შეფასება საშუალო ქულისა და %-ის მიხედვით:






საქმიანობის მიმოხილვა - შეფასება

- საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშებიდან საუკეთესო 10 შეფასებული ანგარიშის საშუალო ქულა - **16.5 (92%)**
- ყველაზე უარესი 10 შეფასებული ანგარიშის საშუალო ქულა - **4.9 (27%)**
- საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშების შეფასების საშუალო ქულა - **11.8 (65%)**





სექტორები და საშუალო ქულები






საქმიანობის მიმოხილვა - შეფასება


- საქმიანობის მიმოხილვის შეფასება კომპონენტების დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი კრიტერიუმის მიხედვით

- კომპონენტი შეფასდა, როგორც არადამაკმაყოფილებელი, თუ მიენიჭა 0 ქულა


საწარმოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია



სუბიექტის განვითარების გეგმები



კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა







საქმიანობის მიმოხილვა - შეფასება

საქმიანობის მიმოხილვის შეფასება კომპონენტების დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი კრიტერიუმის მიხედვით


ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები



ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ




რისკების და გაურკვევლობების ანალიზი





საქმიანობის მიმოხილვის შეფასება კომპონენტების მიხედვით



❖ ზოგადი

- ხშირ შემთხვევებში არ არის გათვალისწინებული SARAS-ის მიერ შემუშავებული მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოში მოცემული მითითებები და რეკომენდაციები, რაც უკავშირდება ინფორმაციის ეფექტურად, სტრუქტურულად და არსებითობის პრინციპით გადმოცემას.
- რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი ინფორმაცია არის ზოგადი და არ იძლევა ანგარიშგების ამა თუ იმ კომპონენტის სრულფასოვნად შეფასების შესაძლებლობას.
- რიგ შემთხვევებში საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშგების ზოგიერთ კომპონენტში დასახელება და შინაარსი აცდენილია ერთმანეთთან.
- რიგ შემთხვევებში, კომპონენტებში წარმოდგენილი ტექსტები გაუმართავია როგორც შინაარსობრივად, ასევე გრამატიკულად, რაც ხშირად კონკრეტულ საკითხზე მკითხველისთვის დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ართულებს.
- უმეტეს შემთხვევაში არ ჩანს კომპონენტებს შორის ურთიერთ დამოკიდებულება და კავშირი (მაგ. კვლევები და სამომავლო გეგმები)

❖ საწარმოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია

- რიგ შემთხვევებში საწარმოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია შემოფარგლება კომპანიის სახელწოდებით, საქმიანობის დაწყების თარიღით, საქმიანობის სფეროთი და მისამართით.
- რიგ შემთხვევებში სუბიექტის საქმიანობის აღწერა წარმოდგენილია ზედაპირულად რაც შეუძლებელს ხდის ანგარიშგებებით დაინტერესებულ პირისთვის სუბიექტის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღებას და გარემოებების სათანადოდ შეფასებას.
- უმეტეს შემთხვევებში არ არის დაფარული ძირითადი ტენდენციები და ფაქტორები, რომელთაც სუბიექტის საქმიანობის განვითარებაზე, შედეგებზე ან მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.
- უმეტეს შემთხვევებში არ არის წარმოდგენილი განვითარების შედეგები იმგვარად, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს წინა პერიოდთან შედარება.

❖ სუბიექტის განვითარების გეგმები

- უმეტეს შემთხვევებში სუბიექტის განვითარების გეგმები არ არის წარმოდგენილი პრიორიტეტების და შედეგების მისაღებად საჭირო რესურსებს შესახებ ინფორმაციის საკმარისი დეტალიადაც.
- უმეტეს შემთხვევაში სუბიექტის განვითარების გეგმები არ მოიცავს ტენდენციებისა და ფაქტორების დეტალურ ანალიზს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ სუბიექტის საქმიანობაზე, მდგომარეობაზე და განვითარებაზე.
- რიგ შემთხვევებში სუბიექტის განვითარების გეგმები საერთოდ არ მოიცავს ინფორმაციას მოსალოდნელი განვითარების შესახებ.

❖ კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

- უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილი ინფორმაცია კვლევებისა და განვითარების კუთხით არ მოიცავს შესაბამისი ღონისძიების აღწერას, ეტაპებსა და საანგარიშგებო პერიოდისთვის მათი განვითარების დონეს.
- რიგ შემთხვევებში კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა არ მოიცავს სუბიექტის კვლევებისა და განვითარების მიმართულებით იმ ღონისძიებების აღწერას, რომლებიც ახალი ან უკვე არსებული სერვისების ან პროდუქტების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული. ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში არ აქვს შესაბამისი ჩანაწერი წარმოდგენილი.
- ზოგიერთ შემთხვევაში კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა შეიცავს მარკეტინგული და სარეკლამო ხასიათის ინფორმაციას.

❖ ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

- რიგ შემთხვევებში საერთოდ არ არის წარმოდგენილი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
- რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი მაჩვენებლები არ გამოდგება სუბიექტის მიზნებისა და გეგმების კუთხით მიღწეული პროგრესის შესაფასებლად.
- უმეტეს შემთხვევაში არაფინანსური მაჩვენებლები მოიცავს დასაქმებულთა შესახებ ინფორმაციას თუმცა არ მოიცავს გარემოს დაცვის საკითხებს.
- უმეტეს შემთხვევაში არაფინანსური მაჩვენებლები არ მოიცავს გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით სუბიექტის პოლიტიკის აღწერას.
- არაფინანსური მაჩვენებლების არ არსებობის შემთხვევაში, არ არის შესაბამისი მითითება და დასაბუთება წარმოდგენილი იმის თაობაზე, რომ იგი სუბიექტის განვითარების, საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად საჭირო არ არის.

❖ რისკების და გაურკვევლობების ანალიზი

- რიგ შემთხვევებში აღწერილია მხოლოდ ფინანსური რისკები და აკლია სტრატეგიული, კომერციული და ოპერაციული რისკების აღწერა.
- რიგ შემთხვევებში აღნიშნული კომპონენტი ბიზნეს სუბიექტებს მმართველობით ანგარიშგებაში არ აქვთ წარმოდგენილი, თუმცა მისი გარკვეული ნაწილი (ფინანსური რისკები) მოცემულია ყველა ფინანსური ანგარიშგების ნაწილში.
- უმეტეს შემთხვევაში რისკების და გაურკვევლობების ანალიზი შაბლონურია და არ მოიცავს ძირითადი რისკების მართვასთან დაკავშირებულ მიზნებს, პოლიტიკებს და მათი მართვის მექანიზმებს.
- უმეტეს შემთხვევაში რისკების მიმოხილვა არ მოცავს რისკის ალბათობის და შესაძლო ეფექტების შეფასებას. ასევე ინფორმაციას რისკებსა და გაურკვევლობებზე ხელმძღვანელი პირების მხრიდან წარმოებული მონიტორინგის შესახებ.



2


კორპორაციული მართვის ანგარიშგება






კორპორაციული მართვის ანგარიშგება - შეფასება


- შეფასებული ბიზნეს სუბიექტების კორპორაციული მართვის ანგარიშგებიდან **12** აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (შეფასების ქულა > 50%)
- შეფასებული ბიზნეს სუბიექტების კორპორაციული მართვის ანგარიშგებიდან **4** არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (შეფასების ქულა < 50%)



კორპორაციული მართვის ანგარიშგება - შეფასება


- შეფასებული ბიზნეს სუბიექტების კორპორაციული მართვის ანგარიშგებიდან საუკეთესო 5 შეფასებული ანგარიშის საშუალო ქულამ შეადგინა **11.4 (81%)**, ყველაზე უარესი 5 შეფასებული ანგარიშის საშუალო ქულამ შეადგინა **5.4 (39%)**
- ბიზნეს სუბიექტების კორპორაციული მართვის ანგარიშგების შეფასების საშუალო ქულამ შეადგინა **8.9 (64%)**







კორპორაციული მართვის ანგარიშგების შეფასება კომპონენტების მიხედვით



❖ ზოგადი

- რიგ შემთხვევებში არ არის გათვალისწინებული SARAS-ის მიერ შემუშავებული მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოში მოცემული მითითებები და რეკომენდაციები, რაც უკავშირდება კორპორაციული მართვის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემას.
- ხშირ შემთხვევებში სუბიექტი არ განმარტავს თუ რომელ კორპორაციულ მართვის კოდექსს იყენებს და არ აქვს დასახელებული მის მიერ შერჩეულ რომელ პრაქტიკას ეფუძნება იგი. ასევე არ უთითებს, თუ სად არის ეს კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომი.
- უმეტეს შემთხვევებში არ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემები. ასევე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი სათანადო პოლიტიკა კონტროლის მიზნების მისაღწევად.
- უმეტეს შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სისტემებისა და პროცესების აღწერა.

❖ ზოგადი (გაგრძ.)

- რიგ შემთხვევებში არ არის გასაჯაროებული ადმინისტრაციული, ხელმძღვანელი პირების (მათ შორის დამოუკიდებელი დირექტორების), სამეთვალყურეო ორგანოებისა და მათი კომიტეტების შემადგენლობა და საქმიანობა.
- რიგ შემთხვევებში არ არის გასაჯაროებული დამოუკიდებელ დირექტორთა დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი, გამართული საბჭოსა და კომიტეტის შეხვედრების რაოდენობა, დირექტორთა/საბჭოს წევრების მოკლე ბიოგრაფიები), მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადა და შესაბამისი პროცედურები საბჭოს საქმიანობის შესაფასებლად.
- უმეტეს შემთხვევებში ანგარიშგება არ მოიცავს მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და სხვა) მიმოხილვას, და შესაბამის პერიოდში მიღწეული შედეგებს. ხოლო აღნიშნული პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში არ არის აღნიშნული შესაბამისი მიზეზი.



3


არაფინანსური ანგარიშგება





არაფინანსური ანგარიშგება - შეფასება

- ბიზნეს სუბიექტების არაფინანსური ანგარიშგებიდან **15** აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (შეფასების ქულა > 50%)
- ბიზნეს სუბიექტების არაფინანსური ანგარიშგებიდან **1** არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (შეფასების ქულა < 50%)
- **5** ბიზნეს სუბიექტს არ აქვს წარდგენილი არაფინანსური ანგარიშგება




- 5 ბიზნეს სუბიექტს არ აქვს წარმოდგენილი ანგარიში
- არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (<50%)
- აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (>50%)




არაფინანსური ანგარიშგება - შეფასება

- ბიზნეს სუბიექტების არაფინანსური ანგარიშგებიდან საუკეთესო 5 შეფასებული ანგარიშის საშუალო ქულამ შეადგინა **14.5 (91%)**,
- ყველაზე უარესი 5 შეფასებული ანგარიშის საშუალო ქულამ შეადგინა **7.8 (49%)**
- ბიზნეს სუბიექტების არაფინანსური ანგარიშგების შეფასების საშუალო ქულამ შეადგინა **11.4 (71%)**





კორპორაციული მართვის ანგარიშგების შეფასება კომპონენტების მიხედვით



❖ ზოგადი

- რამდენიმე ბიზნეს სუბიექტს არ აქვს წარმოდგენილი სავალდებულო არაფინანსური ანგარიშგება.
- უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილი არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს გარემოს დაცვის, სოციალურ, დასაქმების და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციას თუმცა არ მოიცავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას და მექანიზმებს.
- რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი ბიზნესმოდელი სრულყოფილად არ აღწერს, როგორ ქმნის და ინარჩუნებს სუბიექტი ღირებულებას გრძელვადიან პერსპექტივაში, ხოლო ხშირ შემთხვევაში სუბიექტს თავისი ბიზნესმოდელი და ძირითადი ტენდენციები ახილი აქვს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გამოყენების გარეშე.
- უმეტეს შემთხვევაში გასაჯაროებულია ინფორმაცია ძირითადი რისკების, მათი მართვისა და მიტიგაციის შესახებ, თუმცა არ არის განმარტებული თუ როგორ შეიძლება ძირითადმა რისკებმა გავლენა მოახდინოს მათ ბიზნესმოდელზე, ოპერაციებზე, ფინანსურ შედეგებსა და ა.შ.

❖ ზოგადი (გაგრძ.)

- რიგ შემთხვევებში სუბიექტები მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ გაასაჯაროონ ინფორმაცია გარემოზე მიმდინარე ან სამომავლო შესაძლო გავლენაზე, რომელიც რელევანტურია მათი საქმიანობიდან გამომდინარე.
- ხშირ შემთხვევაში სუბიექტი ასაჯაროებს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზს მონაცემთა შეგროვების პროცესის და სტრუქტურის განიხილვის გარეშე. მაგ. არ განმარტავს რის გამო გაიზარდა ან შემცირდა საანგარიშგებო პერიოდში საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები და როგორ შეიძლება ასეთი მაჩვენებლების განვითარება მომავალში.
- ხშირ შემთხვევაში ანგარიშგება არ მოიცავს არაფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული განხორციელებული პოლიტიკების აღწერას (მაგ. ESG). ხოლო თუ სუბიექტს არ გააჩნია აღნიშნული პოლიტიკა, ნათლად და დასაბუთებულად არ განმარტავს ამის შესახებ.



კითხვები აუდიენსიიდან





გზადღობთ ყურადღებისთვის!



რაფიელ ერისთავის ქ. 16



(+99532) 2377307



contact@pmo-bc.com



www.pmo-bc.com



www.facebook.com/PMOBusinessConsulting



www.linkedin.com/company/pmo-business-consulting



www.instagram.com/pmoconsulting



Integrated ESG
Driving Sustainable Investment

IFC International Finance Corporation
Creating Markets, Creating Opportunity

საერთაშორისო ედვოკატიის
კორპორაციის
კონსულტინგის
სერვისები

საერთაშორისო ედვოკატიის
კორპორაციის
კონსულტინგის
სერვისები